„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2024 * (4)97

დამოუკიდებლობის დღე აღზეიმით აღინიშნა

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის გართობისა და დასვენების პარკში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.

საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა აღავლინა.

ზუსტად 106 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები: ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრის“ თანამშრომლები, ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა", ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ვარძია“ და სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ღონიძიებას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

26 მაისი

ჩამოჰკრა ზარმა, ახმაურდა ივერთ მამული,
შვიდფეროვანი ცისარტყელა განეევლო ნათლად,
მზე აღმობრწყინდა, ოქროსფერი სხივები სრული,
გადმოაფრქვია და სამფერად ქართლს დაანათლა!..

აჰა, აღსდექი, საქართველო, მრავალ-ტანჯულო!..
ფეხ-ქვეშ თელილო, საცოდავო, ჰეი, მამულო!..
იკმარე ტანჯვა, რაც აქამდე შეგისვამს შხამად,
იკმარე დღენი ვაებისა განვლილნი შავად!..

შენს შვილებს მუდამ შენს დაცვისთვის სისხლი უღვრიათ,
მშობელი მიწა უბრძოლველად არ დაუთმიათ,
თვით დაცემულან, დროშა ჩვენი არ დაუციათ,
მოვალეობა შენს წინაშე მათ დაუცვიათ!..

დაჭრილ ლომივით წარმომდგარხარ შენ დაჩოქილი,
გააფთრებულსა დაგილეწავს რკინის ბორკილი,
თავისუფლება მიგიღია სისხლის გაღებით,
აგიწევიათ საზეიმოდ ბაირაღები!..

მაგრამ მამულო, ვერაფერმა ვერ შეაჩერა
ურიცხვი ძალა, სატანური, ჩრდილი მპყრობელის,
გულს მახვილი გკრა, უნამუსოდ ფეხ-ქვეშ გაგთელა!..
თვალნი ლამაზნი ააცრემლა ქართველ მშობელის!

ვინ უყურებდა შენს ღირსებას, ბრწყინვალე წარსულს?..
ჩვენ უნუგეშოდ შევყურებდით ერის მზეს, ჩასულს...
ვეღარ ვხედავდით შენს დიდებას, მძივებად ასხმულს...
გული დაუჭკნო სიდუხჭირემ ივერის ასულს.

ჰეი, მამულო! რაც აქამდე გქონია ჭირი,
იგი გეყოფა, იკმარე და ნუღარა სჩივი,
შენს შვილთა ბრძოლით და გმირობით კვლავაც აღსდგები,
გაჩირაღდნებულ, სწორ, უტყუარ გზას დაადგები!

მაშ დიდება შენ, ძველი ნიჭი ღმერთმა მოგმადლოს!..
შენ შვილთა ბედი ღვთის განგებამ შენვე მოგანდოს!..
და... გაგითენდეს ბრწყინვალე დღე, რომ
შევძახოთ ღმერთს:
„დიდება მამულს, აყვავებულს, დიდება მის ერს!“

ა. დარეჯანიძე,
ემიგრანტი, 1943 წელი

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 16 მაისს გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ. ჯვარიძე;

– „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების თაობაზე,“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; გ. ჯვარიძე;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე;

– ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე (ო.გოგოლაძე, მ. ცინაძე; ნ.დიასამიძე);

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ. ჯვარიძე;

– „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 მარტის №გ-121. 121240671 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ბ. ბერიძე; ა. ტივაძე; გ. ჯვარიძე;

დეპუტატებმა საკითხები დაამტკიცეს, რის შემდეგაც გაეცნენ ინფორმაციას:

1.ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წელში N 57- დან N 68 - ის ჩათვლით, გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა **ბესიკ ბერიძე.**

ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ანტონ ობოლაშვილის ასპინძის ბიუროს წარმომადგენლები.

მაკა ბერიძე

გისურვებთ ოცნებების ასრულებას!



გილოცავთ, ჩვენო მეთორმეტეკლასელებო თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – სკოლის დასრულებას, ბოლო ზარს სკოლაში.

ჩვენი რაიონის ახალგაზრდები ღირსეულად პასუხობენ ყველა თანამედროვე გამოწვევას, წარმატებებს გისურვებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, პროფესიულ წინსვლას ცხოვრების ყველა ეტაპზე, თქვენი მიზნებისა და ოცნებების ასრულებას.

ქვეყანასა და ჩვენს რაიონს სჭირდება თითოეული თქვენთაგანი თქვენი შესაძლებლობებით, გისურვებთ ამ შესაძლებლობების რეალიზებას.

როსტომ მაგრაძველიძე
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

"შემოქმედება თუხმე ჯვარცმაა"

23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად აღინიშნება ბიბლიოთეკის კვირეული. ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკაც აქტიურად ერთვება აღნიშნულ ღონისძიებაში და, წელსაც, 2024 წლის 23 მაისს (დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ბიბლიოთეკაში სარემონტო სამუშაოების დაწყების გამო) მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაც, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, ღვანლმოსილი ქალბატონის – საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის – **ნელი გოგოლაძის** ორგანიზატორობით ჩატარებული არაჩვეულებრივი ღონისძიებით, თემაზე: „შოთა ნიშნიანიძე – „შემოქმედება თურმე ჯვარცმაა," ჩაერთო ბიბლიოთეკის კვირეულში (იგი მიეძღვნა პოეტის დაბადებიდან 95 და გარდაცვალებიდან 25 წლის იუბილეს).

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: **ლაზარე მელიქიძე, ნინო გიორგაძე, ლაშა გვარამაძე, მარიამ გურეშიძე** და **მარიამ მექოშვილი.** მუსიკალური ფონით მას ალამაზებდა და ამრავალფეროვნებდა, აღმატებულ ემოციებს ჰმატებდა სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდი ქალბატონ **ქეთევან კოპაძის** ხელმძღვანელობით (მგალობლები: **ლევან ივანიძე, ნაირა გოგოლაძე** და **თეკლა კუბლაშვილი).**

ღონისძიების მონაწილეებმა პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი შემოქმედება დამსწრე საზოგადოებას თვალწინ გაუცოცხლეს. მხატვრული სისადავით მიიტანეს მსმენელამდე ნოდარ დუმბაძის, ზაალ ბოტკოველის, ნინო დარბაისელისა და შოთა ნიშნიანიძის მეუღლის თამარ ჩიჯავაძის და სხვათა მოგონებები შოთა ნიშნიანიძეზე. კვირეულში მონაწილე თვალებციმციმა, გულანთებულმა გოგო - ბიჭებმა საუცხოოდ ნაიკითხეს შოთა ნიშნიანიძის უკვდავი პოეზიიდან არაერთი ლექსი არაჩვეულებრივი სიმღერების ფონზე. აგრეთვე, საინტერესოდ და შთამბეჭდავად წარმოადგინეს სასცენო ეპიზოდები, რომლითაც, კიდევ ერთხელ, აღაფრთოვანეს დამსწრე საზოგადოება და გაათბეს მოწვეული ქალბატონების გულები მცირედი, თუმცა ძვირფასი ძღვენით – წითელი ვარდების ჩამორიგებით.

ღონისძიებას საუცხოო ელფერს სძენდა ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის მიერ მომზადებული შოთა ნიშნიანიძის ცხოვრების ამსახველი ვიდეოკოლაჟი, ცნობილი კინომსახიობისა და მხატვრული სიტყვის დიდოსტატის – მურმან ჯინორიას მიერ წაკითხული ლექსების ვიდეო კადრები.

ღონისძიებას ესწრებოდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე,** მერის მოადგილე **ლევან ბერიძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. აგრეთვე, სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა **იოანე გელაშვილი,** რომელთაც დიდი ინტერესი, აღფრთოვანება და მადლიერება გამოხატეს ღონისძიების იდეისა და სულისჩამდგმელის – ქალბატონ ნელი ლონდარიძის, მონაწილე ახალგაზრდების, მუსიკალური და ტექნიკური გაფორმების ავტორების მიმართ.

დასასრულს ქალბატონმა ნელი გოგოლაძემ თითოეულ მანაწილე მოსწავლეს სამახსოვროდ შოთა ნიშნიანიძის ლექსების კრებული გადასცა.

მოწვეული სტუმრები კიდევ კარგახანს შემორჩნენ კულტურის სახლის ფოიეში,

ემშვიდობებოდნენ, კომპლიმენტებსა და მადლობას უძღვნიდნენ თითოეულ მონაწილეს. აღფრთოვანებით უზიარებდნენ ერთმანეთს დიდ შთაბეჭდილებებსა და ზღვა ემოციებს, ხოლო ჩვენი „მომავლები", მონაწილე გოგო-ბიჭები, თავად კმაყოფილები და, ამავე დროს, გულაფორიაქებულები, აღაჟღაჟებული ლოყებითა და გაცისკროვნებული თვალებით მადლობას უხდიდნენ საქებარი სიტყვების ავტორებს.

და მეც, ერთ-ერთი სტუმარი, მიწვეულ სტუმართა შორის, „სულიერი საზრდოს მიღებით დანაყრებული," ვტოვებდი იქაურობას და მადლიერების გრძნობის ბოლომდე ვერ გამოხატვით გამოწვეულ ფიქრებს ამ წერილში ჩასატევად ვამზადებდი.

ვფიქრობ, გამომივიდა და ამოვთქვი ის კმაყოფილება რაც ამ საოცრად ლამაზმა და სრულყოფილმა საღამომ მომანიჭა.

ახლა კი ვფიქრობ და ვოცნებობ, მომავალ გეგმებს ვსახავ, რომ გვქონდეს მშვიდობა უფლის წყალობით, რათა მსგავსი ნაბიჯებით მივიტანოთ მომავალ თაობამდე ჩვენი საამაყო წინაპრების, სასიქადულო ქართველების ნაამზრევი მათ გულებამდე, როგორც თავად შოთა ნიშნიანიძე გვეუბნება „წინაპართა საგალობელით":

,,მომე სულო, ქართლის სულო კურთხევა,
ვიდგე, როგორც მეციხოვნე, ურყევად.
და ზღაპრიდან შენს წამოსულ ნაკვალევს
ხვალ შვილები გადასცემენ ვარსკვლავეთს".

დიახ, ქალბატონო ნელი, დიახ ქალბატონებო და ბატონებო, დიახ, ასეთი საქმეებით თქვენ, ჩვენ, ნამდვილად გადავცემთ ჩვენს შვილებს ჩვენივე წინაპრების ნაკვალევს, ისინი კი „გადასცემენ ვარსკვლავეთს".

დიანა ბერიძე,
სსიპ ასპინძის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

კორესპონდენცია

სოფ. ჭობარეთი (ახალციხის მაზრა), 30 იანვარს. ამ სოფელში 14-15 კვამლი ქართველებია. თათრებიც სცხოვრობენ, მაგრამ მათი რიცხვი დაჭუმარიტებით არ ვიცი. ჭობარლებს ეკკლესია არ უვარგოდათ; თუმცა ჰქონდათ იგი, მაგრამ ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო და თავის დანიშნულებას არ შეესაბამებოდა. ბლაღოჩინი მამა დ. ხახუტაშვილი არა ერთხელ არიგებდა თავის ქადაგებით ხალხს, ეკკლესია შეაკეთეთ, გაამშვენეთო. მისმა მეცადინეობამ ნაყოფი მოიტანა და 15 კვამლმა ქართველობამ იკისრა ქვით-კირის საყდრის აშენება. მ. დ. ხახუტაშვილმა მაშინვე იმავე სოფელში მცხოვრებლებს – შემძლებელ გლეხთა შორის ხელის მოწერა გაჰმართა ამ ფრიად კეთილის საქმისათვის და ყველამ, შეძლებისა დაგვარად, ფული შეაწერა; აღმოჩნდა იმისთანა კაციც, რომ 100 მან. გამოიღო. ჭობარლები ეკკლესიის აშენებაში არავითარსამე ხარჯს და დაბრკოლებას არ ერიდებოდნენ და დღეს ეს ეკლესია მკვიდრად და საშვილი-შვილო სიმტკიცით აშენებულია და დამთავრებული. ქება და დიდება ამ მცირე რიცხვს ღვთის მოყვარე ჭობარლებისას, რომ მათ არაფერში უკან არ დაიხიეს და ეს კეთილი საქმე საკეთილოდ დააბოლოვეს.

ეკკლესია მზად იყო დღეს და ამიტომ დღესვე მოხდა მისი კურთხევა. აკურთხა წესისამებრ მამა ბლაღოჩინმა ხუთის სხვა მღვდლის თანამწირველობით. კურთხევაზედ ჭობარლებს დაპატიჟებული ჰყავდათ

გარშემო ქართველ სოფლების მცხოვრებნი, აგრეთვე ახალციხიდამ რამდენიმენი. კურთხევას ბევრი ხალხი დაესწრო. კურთხევის შემდეგ შესაფერი ქადაგება-დარიგება წარმოსთქვა და მამა-ბლაღოჩინმა ხალხს სხვა-და-სხვა ქართველთ წმინდანების ცხოვრების „ბროშურები" დაურიგა, კურთხევის გათავების შემდეგ სტუმრებს გაუმასპინძლდნენ ჭობარლები გულ-უხვად და დღესასწაულობდნენ სიხარულით ამ ფრიად ბედნიერ დღეს...

იქ დამსწრე მიპატიჟებულთ თავიანთი წვლილი არ დაიშურეს და ზანზანაკის ჩამოტარებით ეკკლესიაშივე-მისდა სხვა და სხვა ხარჯის დასაფარავად შეიკრიბა 50 მანეთამდე. შეწირულობის მხრივ უფრო შენიშვნის ღირსნი იყვნენ: სოფ. საროში მცხოვრები ბ-ნი სვიმონ მაღრაძე, რომელმაც 10 მანეთი შესწირა, ახალციხის „დისტანციის" უფროსი იაშვილი, ბ-ნი პავლე სეხნიაშვილი (ახალციხელივე), ტოლოშის მასწავლებელი ბ-ნი ნათენაძე და სხ., რომელთაც, ვგონებ, სამ-სამი მანეთი შესწირეს.

ეხლა ს. ჭობარლებს აქვთ მშვენიერი კოხტა საყდარი შესაფერის სივრცისა და თავისუფლად შეუძლიანთ სთქვან: „ჩვენ აღვასრულეთ კეთილი და ღვთისა და კაცის სასიამოვნო საქმეო".

თებერვლის ფეხის შემოდგმამ ჩვენს მხარეს ცოტა სხვა ფერი დასდო: ყინვები და სიცივეები როგორღაც იკარგება და დიდს იმედში ვართ, რომ კარგი ამინდები დაგვიდგება. ამასთანავე ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ მუსხის ხიდის გაკეთება, ამ ყინვებში შეჩერებული იყო ცოტა ხნობით და ახლა, ცოტა რომ გათბა ჰაერი, ხელ-ახლად მიჰყვეს მუშაობას ხელი. ჯერ-ჯერობით შუა ბურჯი თითქმის ჩადგმულია და, თუ ღმერთმა ხელი მოუმართათ და კვლავ ყინვები აღარ დაიჭირა, იმედია, მალე დაათავებენ ბ. ბოქაულის მეთაურობით და მეცადინეობით.

ვ. კოპტონაშვილი,
სოფ. მუსხი

„ივერია", 1894 წელი, N28

არდავიწყება

ღეგენდადქცეული მესხი ჯაკი

არის დღეები, რომელიც სულს ნაჭდევივით დააჩნდება ხოლმე, დღე, რომელიც საკუთარ ფესვებთან გაბრუნებს... ზედათმოგვის ეკლესიის ქვებშია ჩაკირული ეს ისტორია ჩვენამდე მოტანილი ღირსეული მესხის ხელით...

ნაქალაქევის საჯარო სკოლაში გაიმართა მესხი გმირის სიმონ ბერიძის წამებიდან 105 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება... ამ დღეს იგრძნობდა, ალბათ, „ქვაკაცას“ ძვლებიც... 1919 წელია. თარაქამები დაბოგინობენ მესხეთის მიწაზე, სოფელი გახიზნულია... ქვადქცეულმა, სულიერად ძლიერმა ადამიანმა არ გასცა სოფლის ადგილსამყოფელი, რის გამოც იგი სასტიკად აწამეს... ქოსა თარაქამამ მას, ამ გაუტეხელ გმირს „ქვაკაცა“ უწოდა...

ღონისძიება გაიმართა ნაქალაქევის საჯარო სკოლის დირექციის (დირექტორი გიორგი კაველიძე), ადგილობრივი რესურსცენტრის (ხელმძღვანელი ტრისტან მურადაშვილი), ბერიძეთა საგვარეულოსა და მწერალ ზელიმხან მაღრაძის ინიციატივით. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. ჩანახატები ზელიმხან მაღრაძის მოთხრობის „ქვაკაცას“ შესახებ წაიკითხა პედაგოგმა ცისანა ლონდარიძე, მოსწავლეებმა: ხატია ზაზაძემ, მარიამ კაველიძემ და თამარ მალანიამ.

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერითა და თანადგომით. ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: ჯემალ დავლიანიძე /ვიცე-პრეზიდენტი/, ზურაბ ქობალია /აღმასრულებელი მდივანი/, პაატა შუბითიძე /პრეზიდენტის მრჩეველი/ და აკადემიის წევრები: ნინო ფრუიძე, მაია ხოფერია, ელდინო საღარაძე, ლალი ასაბაშვილი, ერეკლე საღლიანი, ელენე გამგონიძე, გიორგი თედეეთი და სხვები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რესურსცენტრის უფროსი ტრისტან მურადაშვილი და ამავე სოფლის მცხოვრებლები.

აქვე გთავაზობთ ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ცისანა ლონდარიძის ჩანახატს ზელიმხან მაღრაძის ნაწარმოების „ქვაკაცას“ თაობაზე.

„ქვაკაცა“

რაღაც სულისშემძვრელი, მრავლისმთქმელი დუმილი ჩაკირულა ზედათმოგვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ჩუქურთმოვან ქვებში...

სიჩუმეა....მაგრამ ქვათა ღაღადი გვამცნობს იმ ძირძველ მესხთა ისტორიას.

1919 წელია... თარაქამები დაბოგინობენ მესხთა მიწაზე... ორჯერ გაიხიზნა სოფელი... განწირული და შემზარავი ხმა ჰქონდა ეკლესიის ზარს, რაღაც ავისმომასწავებელი: „როგორც სულიერი, ისე ტიროდა თურმე დიდხანს საცოდავი ზარი...“ ფიელმა თარაქამამ ორი ბერდენკა ტყვია ესროლა ზარს... ერთმა გახვრიტა და გაიარა, მეორე კი გაიჭედა...

ზარის სულისშემძვრელ ხმას ვერ უძლებდა ქოსა თარაქამა... ყურებზე ხელს იფარებდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ ეს ხმა „სულის ხმა“ იყო, იმ მესხთა სულისა, რომლებიც ამ მიწის ღირსეული შვილები იყვნენ – „ლეგენდადქცეულები !“

სოფლელებმა ვანის ქვაბებს შეაფარეს თავი, ნაწილი კი თრიალეთის ქედს მიღმა ქართლში გაიხიზნა... პური კი ორმოებში შეინახეს...

თამამად დაძრწოდნენ თარაქამები სოფლის მიდამოებში, ზოგიერთმა ზედათმოგველმა ტყეს შეაფარა თავი. რჩეული ახალგაზრდები ღამღამობით შემოდიოდნენ სოფელში ამბის გასაგებად, თან სანოვაგე მიჰქონდათ მათთვის.

ისევ რეკავდა ზედათმოგვის ეკლესიის ზარი... შებინდებისას ოთხი ახალგაზრდა ტყის თავში გადაეყარა ფიელ თარაქამებს, სამი მიიმალა და ტყეში გაუჩინარდა, ერთი მათგანი კი ტყვედ ჩაიგდეს... ის იყო ტყუილით გააბრიყვა ქოსა თარაქამა ვაჟკაცმა, რომ იშიღაანთ დედაბრის ქვითინმა და მუდარამ – არ მოეკლათ იგი, მთლად გააფუჭა ყველაფერი... იცოდა, რომ ახლა ვეღარაფერს შეძლებდა, უკვე გვიანღა იყო...

მთელი დღე აწამებდნენე ბიჭს თარაქამები, რათა გაეყიდა მოძმეები, მაგრამ ამაოდ...

ახსოვთ ამ ეკლესიის კედლებს ბიჭის გმინვა და სისხლის შემზარავი სუნი... ნეკნები ჩაუმტვრიეს, ცხელი შამფურებით დაუწვეს მთელი სხეული, ჭრილობაში მარილს აყრიდნენ... შემზარავი გმინვა-ღა აღმოხდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია, ბოლოს ფეხზე საბელი მოაბეს და ჭაში ჩაჰკიდეს თავქვე, მაგრამ ჭაბუკი დუმდა... გონზე მოსულმა სახეში შეაფურთხა თარაქამას, რის გამოც შიშველი ფეხებით ნაკვერჩხლებზე დააყენეს იგი... შემზარავმა დამწვარი ხორცის სუნმა შესძრა იქაურობა... კოჭის თავიდან წამოსული სისხლი დუღდა... სახეში წყალი შეასხა ვიღაცამ... უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ძლივს გასაგონად აღმოხდა, რომ მას სიკვდილი ერჩივნა ასეთ სიცოცხლეს, საკუთარი ღირსება და მშობლიური მიწის უსაზღვრო სიყვარული აძლევდა შინაგან ძალას..

საცოდავი იყო ქოსა თარაქამა, რადგან მას არც მშობლიური მიწის სიყვარული შეეძლო და არც ადამიანური ღირსება გააჩნდა. არსებობს ლამაზი სიკვდილიც, სულის უკვდავებაში გადასვლა, რომლის ფასიც ქოსა თარაქამას არასოდეს ეცოდინებოდა. გახევებული უსმენდა თარაქამა, სულიერად დაინგრა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა... რაღაცა ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა მის სულში, სადღაც სიღრმეში მიმალულმა ღირსებამ გაიღვიძა... მიხვდა რა ცარიელი იყო იგი, უსიყვარულო და უადამიანო, დამძიმებულ სხეულს დაათრევდა მიწაზე. როგორ ეგონა, რომ სულიერად მოარყევდა მას, მაგრამ თვითონ დაინგრა. დილამდე ისმოდა ბიჭის გმინვა, არც ქოსა გოლიათს მოუხუჭავს თვალი... განთიადისას რაზმი შეკრიბა და მიმართა, რომ ამ „ქვაკაცამ“ ბრძოლა მოუგო... ამ სოფლიდან ვერავინ ვერაფერს წაიღებდა და ამ სოფლის სიმშვიდე ვაჟკაცისთვის საჩუქარი უნდა გამხდარიყო... მერე თავჩაღუნული და წელათრეული შემოტრიალდა... მან კარგად იცოდა, რომ ის უკვე „ლეგენდად“ იქცა, რომელსაც მოუთხრობდა თავის შვილებს. მერე თითქოს ძალა გამოელია, რატომღაც მოუნდა, რომ დაეჩოქა და იმ მინისათვის ემთხვია, რომელმაც ასეთი გმირი გაზარდა... ტაძრის ძალამ თითქოს შეაჩერა, მონუსხულივით იდგა, ცოტაც და მუხლს მოიყრიდა მის წინაშე. შემდეგ ცხენზე ამხედრდა და ბრძანა, ჩრდილოდასავლეთისკენ დაძრულიყვნენ.

ისევ შემოჰკრეს ზარს... ქოსა თარაქამამ კვლავ ყურებზე აიფარა ხელი და...

ზედათმოგველებმა კარგად იცოდნენ, როგორ ამოდიოდა სნეული თარაქამას დედა თითქმის ყოველ წელიწადს ზედათმოგვში და შესაწირი ამოჰქონდა ეკლესიაში 1944 წლამდე, სანამ მათაც შუააზიის ტრამალებისაკენ უკრავდნენ თავს..

ეს უკვე ლეგენდად ქცეული „ქვაკაცა“ სიმონა ბერიძე იყო..

წლები გადიოდა... კიდევ რამდენი ტკივილი უნდა ენახა ამ მადლიან მიწა... იკარგებოდა ქართული სული... ქრისტიანობა, ამ დღემდე სისხლითა და წამებით მოტანილი რწმენა...

სიმონა ბერიძეც „სადღაც“ გაქრა ...

წინაპრების ძვლები გმინავდნენ...

სულისშემძვრელად გარინდულა ზედათმოგვის ეკლესიის წინ წინაპართა საფლავების ქვებს შუა ჩაკირულა ეს ისტორია ... ჩვენამდე მოტანილი ღირსეული მესხის ხელით...

ცისანა ლონდარიძე

სასპორტო ცხოვრება

ფინალში გამარჯვებულები

დაბა ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე „მოყვარულთა თასი - 2024-ის" ფინალი გაიმართა. ფინალში ერთმანეთს ხიზაბავრისა და ძველის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეჯიბრის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული – ძველის გუნდი. ფინალში გამარჯვებული ფეხბურთელები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ სამახსოვრო თასით და მედლებით დააჯილდოვეს.

,,მოყვარულთა ლიგა - 2024''-ის მუნიციალური ეტაპი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა.

საფეხბურთო ჩემპიონატი

ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე საფეხბურთო ჩემპიონატი „მოყვარულთა თასი -2024''-ის მუნიციპალური თამაშები დაიწყო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში შემავალი რვა ადმინისტრაციული ერთეულის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები.

მუნიციპალურ თამაშების პირველ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სოფლების: ასპინძის, ტოლოშის, რუსთავისა და ოშორის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშები შემდეგი ანგარიშით დასრულდა:

ასპინძა - რუსთავი – 3:0;

ტოლოში-ოშორა – 4:0.

მუნიციპალურ ეტაპზე გამარჯვებული გუნდი რეგიონულ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს.

,,მოყვარულთა ლიგა - 2024''-ის მუნიციალური ეტაპი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით იმართება.

„ლექსო, არ დაიკარგეო!"

ქართული ენა

აყვავებული ლერწამი ვაზის,
ქარვის მარცვლებით ნაქარგი ენა,
სახარებასა შინა ლაზარე,
მახარობელი – ვარსკვლავთა ცვენა.

საგალობელი – მჟღერი, კაშკაშა,
ჰიმნი ქებათა – სალბუნი, ლხენა,
გაბრწყინებული ლამპარი სიბრძნის,
ბგერათა გამის – ღაღადი, ფრენა.

დვრიტა ნეტარი, – იავნანინა,
ლოცვა ცხოველი – ხატება რწმენა,
„ანი და ჰოე„, – ივერთა განძი,
მრავალჟამიერ სწყალობდეს ზენა!

ავტორ - მთქმელი ზეზვა ბიბილაშვილი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი იდუმალა



ახალი წიგნები

ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ, ტოლოშისა და ხიზაბავრის მიიღო შემდეგი დასახელების ახალი წიგნები:

ქეთევან ჭილაშვილი - ბამბის ბიჭი და სხვა მოთხრობები;
ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი;
ბურატინოს თავგადასავალი;
ექიმი აიბოლიტი;
იაკობ გოგებაშვილი - შემეცნებითი მოთხრობები;
ლელა ცუცქირიძე - კარის იქით რაღაც მოხდა;
ლეონარდო და ვინჩი;
ლურსმანას თავგადასავალი;
ანილ ბასილი - ჟირაფის პირობა;
ნოდარ წულეისკირი - მურიკელა ღრრრ... და სხვა მოთხრობები;
ნუკა გაგუა – რა ღირს მოგზაურობა მზეზე?
რობინ ჰუდის თავგადასავალი;
სამი დიდი მეფის ისტორია;
სამი დიდი ქართველის ისტორია;
ფრენკ ბაუმი - სანტა კლაუსის თავგადასავალი;
ჰექტორ მალო - უსახლკარო;
მაია ვალდემარ ბონსელი - ფუტკარი;
შარლ პეროს ზღაპრები;
კატერინა ეჰორუშკინა - ჩემი იძულებითი არდადეგები;
ანდერსენის რჩეული ზღაპრები;
ფელიქს ზალტენი - ბემბი;
ნიკოლა ჩინგუეტი - ბიჭები წიგნებს არ კითხულობენ;
ედიტ ნესბიტი -განძის მაძიებლები;
ეგზიუპერი - პატარა პრინცი;
ლუის კეროლი - ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში;
სესილია ჯემისონი - ლედი ჯეინი;
მსოფლიოს ათი ზღაპარი;
მსოფლიოს კლასიკოსთა ზღაპრები;
ნილს ჰოლგერსონისა და გარეული ბატების თავგადასავალი;
პინოკიოს თავგადასავალი;
პუშკინის ზღაპრები;
ლუის კეროლი - რა იხილა ელისმა სარკისმიღმეთში;
ედიტ ნესბიტი - რკინიგზის ბავშვები;
ანტონ ჩეხოვი - საბავშვო მოთხრობები;
მონტეირუ ლობატუ - ყვითელი კოდალას ორდენი;
ძმები გრიმების ზღაპრები;
პიტერ პენი - ჯეიმს მეთიუ;
ჰაიდი იოჰანა შპირი;
ალადინი - (ინგლისურ ენაზე);
ბემბი - (ინგლისურ ენაზე);
მილორა პავიჩი - ვარსკვლავთა მოსასხამი;
ვასაძე - „ვეფხისტყაოსანი" კომენტირებული ტექსტი;
თალგამი - (ინგლისურ ენაზე);
მებადური და ოქროს თევზე (ინგლისურ ენაზე);
ჭრიჭინა და ჭიანჭველა - (ინგლისურ ენაზე);
ხულიო კორტასარი - კლასობანა;
მებადური და ოქროს თევზი;
მებატე გოგო;
მზეთუნახავი და ურჩხული;
გურამ მეგრელიშვილი - მკითხველის მეგზური;
მოიარე, შეისწავლე, შეიყვარე საქართველო - 205 ფაზლი;
მულანი;
ნამცეცა;
პატარა პრინცი;
ტომ სეიერი საზღვარგარეთ;
ფიფქია და შვიდი ჯუჯა;
ქალაქელი თაგვი და სოფლელი თაგვი;
ნათია ფანჯიკიძე - შიშო, გამოდი გარეთ;
ჩემი პირველი ცხოველები - 205 ფაზლი;
ჩოხელი - წითელი მგელი;
ჩოხელი - ადამიანთა სევდა;
ჩოხელი - მღვდლის ცოდვა;
დანიელ ბლატაუერი - ჩრდილოეთის ქარს უხდება;
ცხოველები აღმოაჩინე და შეისწავლე - 205 ფაზლი;
ჭრიჭინა და ჭიანჭველა;
ჯადოსნური ქოთანი;
ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი;
ნინო თარხნიშვილი - სიცოცხლის დაზღვევა;
რატი მუჯირი - მონებს სამოთხეში არ უშვებენ;
მარინა თექთუმანიძე - თქვი, დედაკაცო;
დათო ტურაშვილი - ხალდე-ლაჰილ;
ნატო დავითაშვილი - ოთხი მხარე და ოთხი სვეტი;
ოლგა ტოკარჩუკი - თოჯინა და მარგალიტი;
გია მურღულია - ცხრის ნახევარზე;

შენიშვნა: ანალოგიური საბავშვო წიგნები მიიღო ტოლოშისა და ხიზაბავრის სასოფლო ბიბლიოთეკებმა.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილება

მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ფერმერების მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სპეციალურ პროგრამას – „მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა," სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს. პროგრამის ბიუჯეტი 5 მლნ ლარია.

პროგრამაში მიმდინარე წლის 21 მაისს გამოცხადებული რეგისტრაციის შედეგად, სოფლის განვითარების სააგენტოში შემოსულია დაახლოებით 4,3 მლნ ლარის დაფინანსების მოთხოვნით 3.000-ზე მეტი განაცხადი. სააგენტო აგრძელებს განაცხადების მიღებას ბიუჯეტის ამოწურვამდე.

პროგრამიათ დაფინანსება შეუძლია მიიღოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა, რომელსაც მაღალმთიან დასახლებაში საკუთრებაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირების მიერ შესაძენი მცირე ზომის (7 ცხ.ძდან-13ცხძ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 70%, თანადაფინანსების ლიმიტი განსხვავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმძლავრეების მიხედვით და არ აღემატება 2500 ლარს.

რეგისტრაციისათვის ეწვიეთ ბმულს: https://my.rda.gov.ge/. განაცხადის შესავსებად, უნდა დარეგისტრირდეთ ვებგვერდზე. მართვის პანელში, აირჩევთ მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამას, შეავსებთ განაცხადის ფორმის ველებს და ატვირთავთ წარმოსადგენი დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებს.

ოლღა ბერიძე-ველიჯანაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია